



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 132

2011 წლის 7 ოქტომბერი
ქალაქი ხაშური

„თბილისობა -2011“ აღნიშვნის ღონისძიებაში ხაშურის მუნიციპალიტეტის წარდგენის მიზნით ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 4 ოქტომბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110025523) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი „თბილისობა-2011“ აღნიშვნის ღონისძიებაში ხაშურის მუნიციპალიტეტის წარდგენის მიზნით ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 7 ოქტომბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ღონისძიების ჩატარება კი 7 ოქტომბერს არის განსაზღვრული.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს „თბილისობა-2011“ აღნიშვნის ღონისძიებაში ხაშურის მუნიციპალიტეტის წარდგენის მიზნით ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

